

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №201

2016 წლის 22 აპრილი

ქ. თბილისი

სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის პროგრამის დამტკიცების შესახებ

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის საჭირო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, საქართველოში საერთაშორისო განათლების ხარისხის, საერთაშორისო აკადემიური პროგრამებისა და საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის განვითარებისა და ქვეყნის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 დეკემბრის დადგენილება №557 – ვებგვერდი, 21.12.2017წ.

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის პროგრამა (შემდგომში – პროგრამა) და პროგრამის ფარგლებში სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) მიერ გრანტის გაცემის წესი და პირობები.

მუხლი 2

სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრმა სასტიპენდიო პროგრამები განახორციელოს თანდართული პროგრამით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს პროგრამის თაობაზე საზოგადოების ინფორმირება.

მუხლი 3

„განათლების საერთაშორისო ცენტრის“ პროგრამის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 აპრილის №303 დადგენილება ძალაშია აღნიშნული დადგენილების დანართი 1-ითა და დანართი 2-ით დამტკიცებული პროგრამების ფარგლებში დაფინანსებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

მუხლი 3¹

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების, დოქტორანტურის პროგრამებისა და ახალგაზრდების წახალისების“ პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან პროგრამა „ცოდნის კარის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №40 დადგენილების საფუძველზე დაფინანსებულ პირებს უფლება აქვთ, მოითხოვონ სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს ერთი წლის ვადით საზღვარგარეთ დარჩენის უფლება შესაბამის სფეროში/მიმართულებით სამუშაო გამოცდილების დაგროვების მიზნით. უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ცენტრის შესაბამისი პროგრამის კომისია. აღნიშნული მიზნით, დაფინანსებულმა პირმა უნდა წარადგინოს დასაბუთებული განცხადება და დასაქმების შესახებ ოფიციალური დოკუმენტი. აღნიშნული განიხილება დასაქმების შესახებ ვალდებულების შესრულების გადავადებად და ვალდებულების შესრულების ვადის ათვლა დაიწყება შესაბამისი პერიოდის ამოწურვისთანავე.“

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 დეკემბრის დადგენილება №557 – ვებგვერდი, 21.12.2017წ.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

დანართი

სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები



1. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს ცენტრის მიერ გრანტის გაცემის წესსა და ზოგად პირობებს.

2. პროგრამის მიზანია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის საჭირო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება.

3. პროგრამის ამოცანას წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეთათვის ან პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელთათვის, კონკურსის წესით გრანტის გაცემის გზით, საზღვარგარეთ განათლების მიღების/კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 დეკემბრის დადგენილება №557 – ვებგვერდი, 21.12.2017წ.

მუხლი 2. პროგრამა

1. პროგრამა ხელს უწყობს საქართველოს მოქალაქეთა ან პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელთა მიერ:

ა) საზღვარგარეთ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე განათლების მიღებას;

ბ) საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლებას;

გ) ამ პროგრამის საფუძველზე დამტკიცებული შესაბამისი სასტიპენდიო პროგრამების ფარგლებში დაფინანსებულ კურსდამთავრებულთა თანამშრომლობას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის გარდა, პროგრამა ასევე ხელს უწყობს ქვეყნის აკადემიური სივრცისთვის საჭირო საქართველოს მოქალაქის ან პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის მომზადებისა და საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მიზნით სასტიპენდიო/საგრანტო პროგრამების განხორციელებას.

3. პროგრამის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) შესაბამისი წლის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით ცენტრისათვის გამოყოფილი ასიგნებები;

ბ) დონორი ან/და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი სახსრები.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 დეკემბრის დადგენილება №557 – ვებგვერდი, 21.12.2017წ.

მუხლი 3. პროგრამის განმახორციელებელი

1. პროგრამა ხორციელდება ცენტრის მიერ.

2. სასტიპენდიო/საგრანტო პროგრამებს, შესაბამისი პროგრამის კომისიის შემადგენლობასა და უფლებამოსილებებს ამტკიცებს ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 დეკემბრის დადგენილება №557 – ვებგვერდი, 21.12.2017წ.

მუხლი 4. გრანტის გაცემის ძირითადი პირობები

გრანტის გაცემის ძირითადი პირობებია:

ა) ამ პროგრამის საფუძველზე დამტკიცებული სასტიპენდიო/საგრანტო პროგრამის ფარგლებში შერჩეული კანდიდატისათვის გამოსაყოფი გრანტი გაიცემა ამ პროგრამის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ პირობებზე;

ბ) გრანტი არ გაიცემა ერთი პირის მიმართ ორჯერ, ერთისა და იმავე საფეხურის აკადემიურ პროგრამაზე სწავლის ან/და ერთისა და იმავე კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამის გავლის მიზნით;



გ) გრანტი შეიძლება გაიცეს კონკურსის საფუძველზე, ერთი აკადემიური წლისათვის სრულად ან ნაწილობრივ, შესაბამისი სასტიპენდიო პროგრამით დადგენილი წესის მიხედვით;

დ) ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობის საგანმანათლებლო პროგრამაზე მომდევნო სასწავლო წლისათვის გრანტის გაცემის საფუძველს წარმოადგენს გრანტის მიმღების მაღალი აკადემიური შეფასება. აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი სასტიპენდიო პროგრამით შესაძლებელია დადგინდეს დამატებითი პირობები;

ე) (ამოღებულია - 15.12.2017, №557);

ვ) (ამოღებულია - 15.12.2017, №557);

ზ) გრანტის გაცემის დამატებითი ან/და განსხვავებული პირობები შეიძლება დადგინდეს ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით, ამ პროგრამისა და კანონმდებლობით დადგენილი პრინციპების შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 დეკემბრის დადგენილება №557 – ვებგვერდი, 21.12.2017წ.

მუხლი 5. დასაქმებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები

1. გრანტის მიმღები, რომელმაც გრანტი მოიპოვა უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის აკადემიურ პროგრამაზე სწავლის მიზნით, უნდა დაბრუნდეს საქართველოში სწავლის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, დარჩეს ქვეყანაში 3 წელი და დასაქმდეს საქართველოში შესაბამის სფეროში/დაწესებულებაში.

2. გრანტის მიმღებმა უნდა წარადგინოს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების/კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. გრანტის მიმღებს სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს ერთი წლის ვადით შეიძლება მიეცეს საზღვარგარეთ დარჩენის უფლება შესაბამისი პროგრამის კომისიის გადაწყვეტილებით, მხოლოდ დაფინანსებული მიმართულებით საზღვარგარეთ დასაქმების შესახებ ოფიციალური დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში. აღნიშნული განიხილება დასაქმების შესახებ ვალდებულების შესრულების გადავადებად. ვალდებულების შესრულების ვადის ათვლა დაიწყება შესაბამისი პერიოდის ამოწურვისთანავე.

3¹. გრანტის მიმღებს შეიძლება მიეცეს შემდეგ აკადემიურ საფეხურზე სწავლის უფლება შესაბამისი პროგრამის კომისიის გადაწყვეტილებით. აღნიშნული განიხილება დასაქმების შესახებ ვალდებულების შესრულების გადავადებად. ვალდებულების შესრულების ვადის ათვლა დაიწყება შესაბამისი აკადემიური პროგრამის დასრულებისთანავე.

4. გრანტის მიმღებმა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის დასრულების შემდეგ, მინიმუმ 12 თვის განმავლობაში, მუშაობა უნდა გააგრძელოს იმ დაწესებულებაში, სადაც მუშაობდა გრანტის მოპოვების პერიოდში.

5. გრანტის მიმღებს შესაბამისი სასტიპენდიო/საგრანტო პროგრამითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე არ აქვს უფლება, მოითხოვოს გრანტი იმავე ან სხვა სასტიპენდიო/საგრანტო პროგრამის ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასტიპენდიო/საგრანტო პროგრამა ითვალისწინებს გამონაკლისს აღნიშნულთან დაკავშირებით.

6. (ამოღებულია - 15.12.2017, №557).

7. ცენტრსა და გრანტის მიმღებს შორის სასტიპენდიო პროგრამით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები რეგულირდება მათ შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 დეკემბრის დადგენილება №557 – ვებგვერდი, 21.12.2017წ.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და გრანტის დაბრუნების



წესი

1. გრანტის მიმღების მიერ ამ პროგრამით, ამ პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული სასტიპენდიო პროგრამისა და შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს ფინანსურ პასუხისმგებლობას.
2. ამ პროგრამის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გრანტის მიმღები ვალდებულია, დააბრუნოს მიღებული გრანტი შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
3. ხელშეკრულების მოქმედების ვადაში გამოყოფილი გრანტის სრულად აუთვისებლობის შემთხვევაში, გრანტის მიმღები ვალდებულია, დააბრუნოს გრანტის აუთვისებელი ოდენობა.
4. მინიჭებული გრანტის შესაბამისი აკადემიური წლისათვის აუთვისებლობის შემთხვევაში, გრანტის მიმღები კარგავს თანხის გადარიცხვის მოთხოვნის უფლებას.

